სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/23

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებული ლაბორატორიის სახელწოდების შეცვლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, ზვიად ღურწკაიას მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებულ სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიას შეეცვალოს დასახელება შემდეგი სახით: „სამედიცინო ტექნიკის ინსპექტირების ორგანო“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**